მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოშვება

MDF
მედიის განვითარების ფონდი

# ბიულეტენი №7

20. 05 –26.05.2013

მონიტორინგი

## მონიტორინგის მთავარი მიგნებები

20-26 მაისის პერიოდში მთავარი თემა კვლავ 17 მაისის ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის აქციის დარბევა და ამ კონტექსტში სექსუალურ უმცირესობათა მიმართ გაკეთებული ჰომოფობიური და დისკრიმინაციული გამოხატვები იყო.



Tabula.ge-ს ფოტო

გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- ბეჭდვით მედიაზე მეტად დაბალანსებული ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებები იყო ;
- როგორც რესპონდენტების, ასევე ჟურნალისტთა (გაზეთები „კვირის ქრონიკა“, “ასავალ-დასავალი”) მხრიდან ხდებოდა სექსუალურ უმცირესობათა მიმართ ისეთი შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა “პედერასტი”, “მამათმავალი”, “უკანალის დაცვა”, “გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრება”, “გარყვნილება” (კობა დავითაშვილი, ლევან ვასაძე, გოგა ხაინდრავა, სოსო ცინცაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი);
- ხდებოდა დაუსაბუთებელი მოსაზრების ტირაჟირება, თითქოს სასულიერო პირს აქციაზე არ შეუგინებია და კადრები მედიის მიერ იყო

გაგრძელება გვ. 2

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და ის შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

მთავარი თემები


| | |
|---|---|
| სიძულვილის ენა, ძალადობის წახალისება | 4 |
| 17 მაისი - “პროვოკაცია” | 5 |
| ანტიდასავლური განწყობები | 4 |
| “პროპაგანდის” აკრძალვა | 10 |
| თეოკრატია თუ სეკულარული სახელმწიფო? | 7 |
| ანტითურქული განწყობები | 13 |
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია | 13 |


unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID
ამერიკელი ხალხისგან
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## მონიტორინგის მთავარი მიგნებები

ფალსიფიცირებული, როცა არსებული ვიდეო ჩანაწერები საპირისპიროს მეტყველებს და ჟურნალისტები (იმედი, მე-9 არხი) საზოგადოებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას თავს არიდებდნენ;

- „ასავალ-დასავალი", ისევე როგორც „კვირის ქრონიკა" 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით მხარედ გვევლინებოდნენ, ვინაიდან აღნიშნული გაზეთების სარედაქციო პოზიციაში მკაფიოდ იყო გამოხატული მხარდაჭერა იმ რადიკალური ჯგუფების მიმართ, ვინც ლგბტ პირების უფლებადამცველეთა აქცია დაარბია. მაგალითად, საავტორო სტატიაში „ზეობს მორალი" ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა ულოცავს მკითხველს აქციის ჩაშლის ფაქტს, რომელსაც გეი-აღლუმად მოიხსენიებს: *„გიხაროდენ!.. ვერასოდეს შედგება გეი-აღლუმები, ვერასოდეს მოხდება ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაცია და ქართველი საზოგადოება არასოდეს შეეგუება გარყვნილების პროპაგანდას!"*

- როგორც რესპონდენტების (ბიძინა გუჯაბიძე - ქართული ოცნება, კახა კახიშვილი - არასამთავრობო სექტორი), ასევე გარკვეულ შემთხვევებში ჟურნალისტთა (გაზეთი "კვირის ქრონიკა") მხრიდან, ყოველგვარ ფაქტებზე დაყრდნობის გარეშე, ხდება მოსაზრების ტირაჟირება, თითქოს 17 მაისის აქცია პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ იყო პროვოცირებული.

- თუ აქამდე უმცირესობათა უფლებების დაცვის გამო, ძირითადად კრიტიკის თუ სიძულვილის სამიზნე ნაციონალური მოძრაობა იყო, 17 მაისის მოვლენების კონტექსტში ამ თვალსაზრისით ნაციონალებთან ერთად რესპუბლიკურ პარტიასაც მოიხსენებენ (გაზეთი "ასავალ-დასავალი", კოკა კვინიკაძე, მოხსენიებულია, როგორც პოლიტპატიმარი).

- ჰომოსექსუალობა წარმოჩენილია როგორც დასავლეთის მიერ თავსმოხვეული მოვლენა რესპონდენტების (ლევან ვასაძე, ირმა ინაშვილი), ასევე ჟურნალისტების მხრიდან (ობიექტივი, გაზეთი "კვირის ქრონიკა").

- ხდება აზრის კულტივირება, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების და მათ უფლებადამცველთა გამოხატვის თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ჰომოსექსუალობის პროპაგანდა. ნიშანდობლივია, რომ ე.წ. ჰომოსექსუალობის პროპაგანდის საკანონმდებლო აკრძალვის ინიციატივით რადიკალურ ჯგუფებთან (სოსო მანჯავიძე, გიორგი თარგამაძე) ერთად მმართველი პარტიის (დავით საგანელიძე, კობა დავითაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე,) წარმომადგენლებიც გამოდიან.

- მედიაში 17 მაისთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქების მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სეკულარული სახელმწიფოს არსი ხშირად არათუ ჟურნალისტებს (გაზეთი "კვირის ქრონიკა", იმედი "ქრონიკა"), მმართველი პარტიის წარმომადგენლებსაც ( დავით საგანელიძე) არ ესმით.

- შედარებით მოკრძალებულად იყო წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, რაც ამ ჯგუფთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლის მომასწავლებელი ვერ იქნება და შესაძლოა იმით აიხსნას, რომ სიძულვილის და დისკრიმინაციის საბაბი ამ შემთხვევაში 17 მაისის აქცია და სექსუალური უმცირესობები გახდა. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მკაფიო ზღვარი ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციას შორის ჩვენ შემთხვევაში არ არსებობს, მით უფრო, როცა ამგვარ გამოხატვას პოლიტიკურ დისკურსში აქვს ადგილი.

## სატელევიზიო ახალი ამბები 17 მაისზე

ბეჭდვით მედიაზე გაცილებით დაბალანსებული იყო სატელევიზიო მედია. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიების საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ვრცლად იყო გაშუქებული 17 მაისის შემდგომ განვითარებული მოვლენები - მოქალაქეთა საპროტესტო პეტიცია, საქმის სამართლებრივი მსვლელობა, აქცია - "არა თეოკრატიას" და კონტრაქცია, ასევე 17 მაისის აქციის დაშლის შემდეგ გახშირებული ძალადობრივი ქმედებების ცალკეული ინციდენტები,

- ამ თვალსიზრისით მნიშვნელოვანი იქნებოდა მედიას მეტი აქცენტი გაეკეთებინა ინციდენტში ეჭვმიტანილთა მიმართ გამოძიების მიერ წაყენებული ბრალის ადეკვატურობაზე და იმაზე, თუ რა სასჯელს ითვალისწინებს კანონმდებლობა მსგავსი ქმედებებისთვის. მხოლოდ რუსთავი 2-მა აღნიშნა, რომ წაყენებული მუხლი ნაკლებად მძიმე კატეგორიას განეკუთვნება. უფრო მეტიც, ტელეკომპანია მე-9 არხის 9 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გადაცემის წამყვანი თამარ სანიკიძე საკითხს ისე სვამს, თითქოს სახელმწიფოს თეოკრატიასა და სეკულარულ მიდგომებს შორის ჰქონდეს არჩევანი გასაკეთებელი: *"ვინ უნდა მიიღოს სასჯელზე გადაწყვეტილება - სასამართლომ თუ ეკლესიამ?"* http://www.myvideo.ge/?video_id=2049220

- ტელეკომპანია "იმედმა" სამი სიუჟეტი მიუძღვნა არქიმანდრიტ ანთიმოზ ბიჩინაშვილის განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს გავრცელებული კადრები იმის თაობაზე, რომ ის იგინება ("დაგხოცავთ, თქვენი დე...") დამონტაჟებულია. აქცენტი კეთდება გინების უარყოფის ფაქტზე და არა ძალადობისკენ მოწოდებაზე („დაგხოცავთ") რესპონდენტის მხრიდან. თავის მხრივ, მედია საშუალებას არ მიუღია არავითარი ზომა, რათა მაყურებლისთვის მიეწოდებინა სრულფასოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ყოფილიყო დამონტაჟებული აღნიშნული კადრები, რომელი მედია საშუალების მიერ იყო გავრცელებული და რა ადასტურებდა ხმის ფალსიფიცირების ფაქტს. უფრო მეტიც, მუქარის და გინების კადრები არ უჩვენებია მე-9 არხს და ნაწილობრივ აჩვენა (მხოლოდ გინება და არა ძალადობისკენ მოწოდება) იმედმა, რაც მაყურებელს შესაძლებლობას მისცემდა, თავად შეეფასებინა ბრალდების ადეკვატურობა. ტელეკომპანია "იმედში" გავიდა არქიმანდრიტის სინქრონი, სადაც ის აცხადებს, რომ გინების ხმა მაშინ არის დადებული, როდესაც ის ზურგით დგას (http://www.myvideo.ge/?video_id=2044942). რუსთავი 2-მა აჩვენა არა ზურგით, არამედ წინა ხედით და პროფილში გადაღებული კადრები, სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ არქიმანდრიტის მხრიდან გინებასა და ძალადობისკენ მოწოდებას აქვს ადგილი (http://www.myvideo.ge/?video_id=2049188). აღსანიშნავია, რომ რუსთავი 2-ის გარდა, სხვა საინფორმაციო საშუალებებს ამ ინციდენტის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია არ მოუმზადებიათ, რითაც მაუწყებლობის ქცევის კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლები დაირღვა, რაც მაუწყებელს ინფორმაციის მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით გადაცემას ავალდებულებს (მუხლი 13.2. *„მაუწყებელი ვალდებულია, მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ, შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება"*).



ანთიმოზ ბიჭინაშვილი 17 მაისის აქციაზე
news.ge-ს ფოტო

- ტელეკომპანია "იმედმა" და "მაესტრომ" ორ თანაზომად პეტიციად წარმოადგინეს საზოგადოების მიმართვა ხელისუფლების სახელზე, რომლითაც ხელმომწერები (22.04: 12 000 ადამიანი) 17 მაისის აქციის დამრბევთა სათანადო დასჯას მოითხოვენ და ალტერნატიული მიმართვა, რომელიც ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვას ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ იმედი (ქრონიკა, 20 მაისი) აღნიშნავს, რომ მეორე წერილზე ხელმომწერების ვინაობა უცნობია. ამასთანავე "ქრონიკის" წამყვანი ნუცა კოპალიანი პირდაპირ ციტირებს ტექსტს მეორე პეტიციიდან (*„დღეს გამოქვეყნებული კიდევ ერთი პეტიცია კი საქართველოს კანონმდებლობით, გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრების წესის პროპაგანდის აკრძალვას ითხოვს"*), რაც შეეძლო პერიფრაზით გაეკეთებინა(http://www.myvideo.ge/?video_id=2044942,http://www.myvideo.ge/?video_id=2044634).

## სიძულვილის ენა, ძალადობის წახალისება

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, როცა რესპონდენტები ან ახალისებენ ძალადობას, ან თავად მიმართავენ სიძულვილის ენას სექსუალურ უმცირესობათა მიმართ.

### ბიძინა გუჯაბიძე, ქართული ოცნება:



ობიექტივი, ღია სტუდია, 21 მაისი
*"ჩვენი ბიჭები გმირულად დაეცნენ იქ, ავღანეთში და ამის პატივისცემას ვინც არ აპირებს და მომავალშიც ასე თავხედურად და ცინიკურად დაიწყებს რაღაც იმას, თითქოს უფლებები ირღვევა, ის რა თქმა უნდა, საზოგადოების რისხვას დაიმსახურებს."*

### რეზო ამაშუკელი, პოეტი:

კავკასია, სპექტრი, 21 მაისი
*"თუ გამოვა და პომადიან თეძოებს დამანახებს, ისეთს ჩავცხებ, რო პატრონი ვერ იცნობს... ერთ მშვენიერ დღეს მართლა იხუვლებს ეს ხალხი."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2045901
http://www.myvideo.ge/?video_id=2045934

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი
*"სულაც არ მწყენია, რომ ამ პედერასტებს და მათ დამცველებს ცხვირ-პირში მოხვდათ. ახლა ადგნენ ეს ვითომ უფლებადამცველი ქალბატონები, ალგზნებული უკანალები რომ აქვთ და სადაც უნდათ, იქ მიჩივლონ."*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/970.html

### სოსო ჯაჭვლიანი, ქართული ოცნება:

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი
*"ისინი გამოდიან და გვავალდებულებენ, რომ გინდა თუ არა გვაღიარეთო. გეიაღლუმის ორგანიზატორები დიდ ფულს შოულობენ და ისინი ყველაზე მეტად სულწაწყმედილი და გათახსირებული ადამიანები არიან."*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/970/970.pdf

### სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

კავკასია, სპექტრი, 21 მაისი
*"პიდარასტების ოჯახში გაზრდილი ბავში, ის ნორმალური გამოვა, გეკითხებით?.. მოუკვდათ პატრონი მაგათ... მე ისიც ვიცი აი, ეს გეები ხელისუფლებაში მოსული, რა საფრთხეს უქმნიან ქვეყანას... ეს საფრთხეა, ძალიან დიდი საფრთხე.*



### გოგა ხაინდრავა, რეჟისორი:

კავკასია, სპექტრი, 23 მაისი
*"ევროპაში არის ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტურად, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ყველანაირ ჰომოსექსუალიზმს, ყველანაირი ამ სხვადასხვა, ვთქვათ, პათოლოგიების მქონე ადამიანების პარპაშს და მათ იდეოლოგიას. ჩვენც ესე უნდა მივუდგეთ."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2049002

მაესტრო, პოლიტმეტრი, 24 მაისი
*„ეს ქვეყანა მამათმავლობას არ შეეგუება... რამდენიც არ უნდა ილაპაადამიანებმა, ვინც ამ უფლებების უკან საკუთარი უკანალის, უფრო სწორედ, მოყვასის უკანალის მეტს ვერაფერს ვერ ხედავენ...* (წამყვანი, ნინო ჟიჟილაშვილი რესპონდენტს კორექტულობისკენ მოუწოდებს).
http://www.myvideo.ge/?video_id=2048729

*შარვალჩახდი ადამიანების თბილისში სიარული გინდა? ტანგაში გამოწყობილი კაცების, რომლებიც ერთმანეთს ზასაობას დაუწყებენ და თქვენ...* (რესპონდენტს მიკროფონს უთიშავენ).
http://www.myvideo.ge/?video_id=2048776

*გაგრძელება გვ. 5*

## 17 მაისი - "პროვოკაცია"

როგორც რესპონდენტების, ასევე გარკვეულ შემთხვევებში ჟურნალისტთა მხრიდან, ყოველგვარ ფაქტებზე დაყრდნობის გარეშე, ხდებოდა მოსაზრების ტირაჟირება, თითქოს 17 მაისის აქცია გარედან იმართებოდა. ხოლო მეტწილად ამგვარი სპეკულაციები ირიბად თუ ღიად ნაციონალური მოძრაობის მისამართით იყო გამოთქმული.

ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრი:

რუსთავი 2, კურიერი, 21 მაისი
*"საფუძვლიანი ეჭვი აქვს, ჩემი აზრით, შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ეს გარედან იმართებოდა. იყვნენ ძალები, ვინც ამას ახალისებდა და აფინანსებდა კიდეც."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2049142

მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 20 მაისი
უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ირიბ მინიშნებებს აკეთებს იმ პროვოკატორებზე, ვინც მისი აზრით, პოლიტიკურად იყო დაინტერესებული სიტუაციის გამწვავებით და ფინანსურად ზურგს უმაგრებდა აქციას. დავით საგანელიძე ინსპირატორთა პასუხისმგებლობის საკითხზეც საუბრობს.

დავით საგანელიძე, პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი:

*"მაქვს ინფორმაცია, რომ მათ უკან (ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორები) იყო გარკვეული ძალები... გარკვეული ფინანსებიც და პირველი ამოცანა იყო სწორედ ის, რომ როგორმე იქნებ შეცდომა დაეშვა პოლიციას და თავის ხალხს დაპირისპირებოდა...*

*მე ამავე დროს ვითხოვდი და მოვითხოვ, რომ... მაშინ ისინიც უნდა დაისაჯონ, ვინც ამის ინსპირირებას ახდენს."*

ჟურნალისტ ეკა ბერიძის მცდელობაზე, რესპონდენტმა დააკონკრეტოს ეს ძალები, დავით საგანელიძე არ აზუსტებს და მინიშნებას ჰიპოტეტურად პოლიტიკურ ოპონენტებზე აკეთებს, ვინც წლებია ამ თემის გამწვავებას ცდილობს.

*"ჩემზე კარგად თქვენ იცით და წლების განმავლობაში ამ სფეროში და ამ მიმართულებით ვინ მუშაობდა და როგორ აკეთებდა მაქსიმალურად ყველაფერს იმისათვის... ეს თემა რომ კიდევ ერთხელ როგორმე მაქსიმალურად გაემწვავებინათ."*
http://tv9.ge/?l=G&m=2&sm=1&sm=1&id=2217

*გაგრძელება გვ. 6*

## სიძულვილის ენა, ძალადობის წახალისება



ლევან ვასაძე:

მაესტრო, პოლიტმეტრი, 20 მაისი
*"მე არ მიმაჩნია, რომ 17 მაისს მე დავუპირისპირდი იმაზე ნაკლებ საზიზღრობას, ვიდრე საბჭოთა არმიას, რომელიც 9 აპრილს მოვიდა და გვხოცავდა ჩვენ რუსთაველზე".*
http://www.myvideo.ge/?video_id=2045954



ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი:

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი
*"რა არის ბიჭო ამნაირი უბედურება, კაცი ხარ და კაცი გინდება? მაშინ წადი, გაიკეთე ოპერაცია და გადაკეთდი ქალად!*

*17 მაისს მხოლოდ ეს ლექსი დავწერე:*
*გახედეთ, როგორ მორბიან,*
*ვაიმე ამ დღის დამსწრებსა,*
*კახეთის ვირი სჯობია*
*თბილისელ პედარასტებსა!"*




გურამ ფირცხალავა, მსახიობი:

ასავალ-დასავალი, 20-26 მაის
*"უნდა დააკავონ ეს გარეწარი ქალი ნინია კაკბაძე და გეი-აღლუმის ყველა ორგანიზატორი! "*

## 17 მაისი - "პროვოკაცია"

[კვირის პალიტრა, 20-26 მაისი]

უმრავლესობის ლიდერისგან განსხვავებით, საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი, კახი კახიშვილი მოვლენების პროვოცირებაში პირდაპირ ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებს, რომელიც მისი აზრით, სექსუალურ უმცირესობებთან ასოცირდება.

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

*"ხალხში არატრადიცული ორიენტაციის ადამიანებისადმი აგრესია განსაკუთრებით გამძაფრებულია, ვინაიდან ისინი გარკვეულწილად ,,ნაციონალურ მოძრაობასთანაც'' არიან ასოცირებული, წლების განმავლობაში ,,ნაცმოძრაობა" მხოლოდ საკუთარი და მათი უფლებების დაცვით იყო დაკავებული...*

*"ნაცმოძრაობამ'' სექსუალური უმცირესობების ხარჯზე მოახერხა ჩანაფიქრის ხორცშესხმა: დასავლეთს კიდევ ერთხელ მოევლინა ე.წ. დემოკრატად. ამ აქციას უფრო პოლიტიკური მიზნები ჰქონდა, ვიდრე ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციას".*
http://www.kvirispalitra.ge/kviris-tema/17180-q17-maisis-notaze-qnacionalebiq-mthel-evropas-shemoivlianq.html

[ობიექტივი, ღია სტუდია, 21 მაისი]
სახელისუფლებო სტრუქტურებში წინა ხელისუფლების დარჩენილ წარმომადგენლებს უკავშირებს (გიგა ბოკერია ჰყავს მხედველობაში) 17 მაისს მომხდარ ძალადობას "ქართული ოცნების" საპარლამენტო წარმომადგენელი ბიძინა გუჯაბიძე.

ბიძინა გუჯაბიძე, ქართული ოცნება:

*"ეს იყო წინა ხელისუფლების, ახლანდელ შემორჩენილ სტრუქტურებში დაგეგმილი აქცია, უფრო მეტი მსხვერპლის მოლოდინში…*

*…ავღანეთში დაღუპულთა გვამები ესვენა და იქ პანაშვიდი მიდიოდა, ამ დროს გეიაღლუმი ჩატარებულიყო, მთლიანად ამოვარდნილი იყო კონტექსტიდან… ბოკერიას ეს ჰქონდა გათვლილი ამ მსოფლიო დღესთან დაკავშირებით."*
http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=12032

სანდრო ბრეგაძე, ეროვნულები: [კვირის პალიტრა, 20-26 მაისი]

*„მოძრაობა „იდენტობა" „ნაციონალური მოძრაობის" ფილიალია, უშიშროების საბჭოს მდივანი კი მისი კურატორი... „ნაცმოძრაობის" ოფისში ისმოდა ფრაზები: „სისხლი უნდა დაიღვაროს, ძალიან გვაწყობს თუ იქნება მსხვერპლიც"...*

[ალია, 24-27 მაისი]

**გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი:** *"ეს დღე განზებ შეარჩიეს ბოკერიებმა და მერაბიშვილებმა. იცოდნენ, ამას რაც მოჰყვებოდა."*

**გიორგი ფოფხაძე, ჟურნალისტი:** *"რაც თბილისში მოხდა, არის სააკაშვილის გუნდის მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომელიც გათვალეს ხალხის უცოდინარობაზე."*

ბიულეტენი №7



კახი კახიშვილი: *"ხალხში არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებისადმი აგრესია განსაკუთრებით გამძაფრებულია, ვინაიდან ისინი გარკვეულწილად ,,ნაციონალურ მოძრაობასთანაც" არიან ასოცირებული, წლების განმავლობაში ,,ნაცმოძრაობა" მხოლოდ საკუთარი და მათი უფლებების დაცვით იყო დაკავებული"...*

## 17 მაისი - "პროვოკაცია"

<u>კავკასია, სპექტრი, 21 მაისი</u>

"სპექტრის" წამყვანი დავით აქუბარდია იზიარებს პოეტ რეზო ამაშუკელის მოსაზრებას, რომ 17 მაისის პროვოკაცია თავისუფლების ინსტიტუტის და უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლის (რომელსაც რესპონდენტი ცხოველის სახელით "მანგუსტა" მოიხსენიებს) და ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ორგანიზებულია (დავით აქუბარდია: "აშკარაა", "ვერაგული გეგმა"). გადაცემის წამყვანი ამასთანავე რეაგირების გარეშე ტოვებს რესპონდენტის ნათქვამს არა მხოლოდ პიროვნების ცხოველად მოხსენიების, არამედ იმის შესახებაც, რომ ჰომოსექსუალები ავადმყოფები არიან.

რეზო ამუშუკელი, პოეტი:

*"ეს არის გამოხატული პროვოკაცია… ეს არის დაგეგმილი თავისუფლების ინსტიტუტში, ქალბატონი მანგუსტა, ამ ჩვენი ბოკერიას მეუღლე, იგივე მერაბიშვილი… შენ ხო არ გგონია, რომ ამხელა გავეშება და ეგზალტაცია იყო იმ საცოდავი ადამიანების მიმართ, რომლებიც უკვე თითქოს ავადმყოფები აღარ არიან? ეს იყო იმ ცხრა წლის ბოღმის გადმონთხევა."*

http://www.myvideo.ge/?video_id=2045881

<u>კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი</u>

ანალოგიურ კონსპირაციას ავითარებს "კვირის ქრონიკის" ჟურნალისტი ხათუნა ელბაქიძე, რომელიც 17 მაისის აქციის უშუალო ორგანიზატორებად უშიშროების საბჭოს მდივანს გიგა ბოკერიას და პარლამენტის წევრს ნაციონალური მოძრაობიდან, ჩიორა თაქთაქიშვილს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს ყოველგვარ ფაქტებზე დაყრდნობის გარეშე ასახელებს.

ხათუნა ელბაქიძე, ჟურნალისტი:

*"ნაციონალური მოძრაობის" მიერ დაქოქილმა, მხარდაჭერილმა და მათივე მეცადინეობით უცხოური გრანტებით დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დარაზმეს "სრულიად საქართველოს სექსუალური უმცირესობა" და რუსთაველზე აღლუმის ჩატარება მოისურვეს… გეიაღლუმის ჩატარების მოწინააღმდეგეებმა, ანუ ზნეობრივმა ადამიანებმა, ამ უკუღმართი აქციის საპირისპირო, ანუ უზნეობის საწინააღმდეგო აქცია დაგეგმეს…*

*სწორედ ჩიორა თაქთაქიშვილის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ მიუხედავად ხალხის სიჭარბისა, აქციის მონაწილენი ამ მრავალი ათასი ადამიანის შუაგულში შეჭრილიყვნენ და უკან არ დაეხიათ. არადა, ამ გეებისა და ლესბოსელების ლიდერებს სხვა რა გზა ჰქონდათ? ჩიორას დასტურ-რეკომენდაციის გარეშე გრანტებს ვეღარ მიიღებენ და ეს მართლა ცოდვილი ხალხი ლამის სასაკლაოზე მირეკეს, ხალხის შუაგულისკენ გაუძღვნენ…*

*გიგა ბოკერიასა და ამ ურჯულოთა კასტის სხვა წარმომადგენლებს, გულით სურთ, რომ პოლიტიკური იქნება თუ აპოლიტიკური, ნებისმიერი სახის აქციაზე სისხლის გუბეები დადგეს."*

http://www.alia.ge/com/news/view/927?fb_action_ids=447590392001527&fb_action_types=og.likes

## რესპუბლიკელები

თუ აქამდე, უმცირესობათა უფლებების დაცვის გამო, ძირითადად კრიტიკის თუ სიძულვილის სამიზნე ნაციონალური მოძრაობა იყო, 17 მაისის მოვლენების კონტექსტში ამ თვალსაზრისით, ნაციონალებთან ერთად, რესპუბლიკური პარტიაც მოიხსენიება.

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი

ჟურნალისტი გიორგი გიგაური რესპუბლიკურ პარტიას განათლების მინისტრის მოადგილის დავით ზურაბიშვილის მიერ 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული შეხედულებების გამო აკრიტიკებს, რომელიც ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმის პრობლემას და ამ პროცესებში ეკლესიის როლს ეხება.

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"როგორ უნდა აგვიხდინოს მან [ბიძინა ივანიშვილმა] ქართული ოცნება ანტიქართულ, ქართველთმოძულე რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად?!..* თუ საქართველოში პედერასტების, *"თავისუფლების ინსტიტუტისა" და რესპუბლიკური პარტიის პარპაში კვლავ დაუსჯელად გაგრძელდება, მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ქუჩებში 100 000 კი არა, მილიონობით ქართველი გამოვა... რესპუბლიკური პარტია არის სიმსივნე, რომელიც 1990 წლიდან აგერ, უკვე 23 წელია ჭამს ქართულ ეროვნულ სხეულს და რომელიც "ნაცმოსთან" ერთად უნდა ამოიკვეთოს ქართული პოლიტიკური სინამდვილიდან."*

ალია, 22 მაისი

კოკა კვინიკაძე, პოლიტპატიმარი: *"რესპუბლიკელები არიან ის ლიბერალური ჯგუფი, რომლებიც პირდაპირ არიან მოტივირებული, რომ ამდაგვარი ცხოვრების წესი შეიტანონ მსოფლიოში. არსებობს და მოქმედებს ამერიკის სადაზვერვო სამსახურის ყოფილი უფროსის, დალესის დოქტრინა, სადაც ნათქვამია, უნდა შევიტანოთ ყველგან გარყვნილება, ჰომოსექსუალიზმი, ვინც ამის წინააღმდეგ გამოვა, ის უნდა გამოვაჩინოთ ბნელ და მარგინალურ ჯგუფებადო."*

## ანტიდასავლური განწყობები

ანტიდასავლური განწყობები საანგარიშო პერიოდში ძირითადად 17 მაისის აქციის კონტექსტში იყო გამოთქმული. ჰომოსექსუალობა წარმოჩენილი იყო როგორც დასავლეთის მიერ თავსმოხვეული მოვლენა რესპონდენტების, ასევე ჟურნალისტების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ქართველებისათვის უცხო, გარედან თავსმოხვეულ ფასეულობებად ასევე ინდივიდთა თანასწორობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების (ლინგვისტური მრავალფეროვნება, საკულტო ნაგებობები და სხვა.) მოწოდება ხდება.

ობიექტივი, 21 მაისი

ობიექტივის ღამის სტუდიის წამყვანი ნინო რატიშვილი არასწორ ინფორმაციას ავრცელებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის შესახებ, თითქოს ეს დოკუმენტი მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოსთვის პრობლემად წარმოაჩენს. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით მზადდება, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა, მათ შორის რელიგიურ უფლებათა დარღვევის ფაქტებს, ადგილობრივ წყაროებზე (სამთავრობო, არასამთავრობო) დაყრდნობით აღწერს.

ნინო რატიშვილი, ჟურნალისტი:

*"დღეს ვუსმენდი ამერიკის სახელმწიფოდე დეპარტამენტის დასკვნას... აღიქვამენ ეკლესიას, ჩვენს დედა ეკლესიას, როგორც პრობლემას საქართველოში, მათთვის პრობლემას იმიტომ, რომ სწორედ ეს სულიერება გვაშორებს იმასთან, რასაც გვთავაზობს ამერიკა ამ შემთხვევაში და ხშირ შემთხვევაში ევროპაც."*

*"...ეს ჩვენი ელჩები, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები ცეკვას მდივნებივით თითს გვიქნევენ."*

ირმა ინაშვილი, "ობიექტივის" დამფუძნებელი:

*"ჩვენ ხომ ვიცით რა არის მთავარი მოთხოვნები ევროპისა და აშშ-ის საქართველოსადმი... ნუ ერთ-ერთი არის ის, რომ ქართველებო იცოდეთ, რომ უკანალი უნდა გამოიყენოთ სასქესო ორგანოდ. მეორე, ქართველებო, რეგიონული ენის სტატუსები უნდა მისცეთ ამათ, ამათ, ამათ. ქართველებო, უნდა იცოდეთ, რომ ჯერ უნდა ასწავლოთ თქვენს შვილებს ინგლისური, მერე სომხური, აზერბაიჯანული, სხვა ენები.."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12031; http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=12032

ობიექტივი, 26 მაისი

გადაცემის სტუმარი, პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი იზიარებს მსმენელთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, ხოლო წამყვანი გია არეშიძე არ რეაგირებს არაკორექტულ გამონათქვამებზე.

მსმენელი: *"საკუთარ თავს უნდა ვცეთ პატივი, რომ შეერთებული შტატების ელჩმა არ გაბედოს რუსთაველის გამზირზე გამოსვლა და თვალების ბრიალი, რადგან ამას ვერ გაუბედავ რომელიმე ლიხტენშტეინს, რომელიმე ლუქსემბურგს."*

მსმენელი: *"ტრაკის მიცემა, დემოკრატია ეგ არ არის, უკაცრავად თქვენთან. მეორე კიდევ, პატარა მინიშნებას გავაკეთებ, 1925 წელს ჩამოყალიბდა პირველი სატანისტური ეკლესია ამერიკაში, ეხლა დანარჩენი თვითონ განსაჯოს ხალხმა."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12114

## ანტიდასავლური განწყობები

ლევან ვასაძე:

მაესტრო, პოლიტმეტრი, 20 მაისი

*"იმ ევროპაში, რომელშიც ერთსქესიანი ქორწინებები არის დაშვებული, მე არაფერი არ მესაქმება, არც ჩემს ცოლს, არც ჩემს შვილებს, არც ჩემს სამეგობროს და თუ გამოვლენ და მეტყვიან, რომ ეს არის ბიძია, ჩვენი სტანდარტი და თუ გინდათ რომ მოხვიდეთ ჩვენთან, ეგეთები გახდითო, ნუ ჩვენ ვეტყვით, გვაპატიეთ"...*
http://www.myvideo.ge/?video_id=2045993

რეზო ამუშუკელი, პოეტი:

კავკასია, სპექტრი, 21 მაისი

*"ღრმად პატივცემული ჰამერბერგი, რომელიც ძალიან სიმპათიური კაცია, რომელმაც ბრძანა, რომ მე ვერაფრით ვერ ავუხსნი ევროპელებს, რომ სადაც ასეთი რამე ხდება, იქ არის დემოკრატია, მე მინდა მას მორიდებით და პატივისცემით მივმართო, მეც ვერაფრით ვერ ავუხსნი ქართველ ხალხს, რომ თუ დემოკრატიის უეჭველი ატრიბუტი ის არის, რომ უკანალგაზეპილმა იარონ ქართველებმა და ჩიხტიკოპიანი ბიჭები გვყავდეს, ამას ვერ ავხსნი მე საქართველოში. "*

გადაცემის წამყვანი დავით აქუბარდია პრობლემურად არა რესპონდენტის მსგავს მიდგომას მიიჩნევს, არამედ ესარჩლება ჰამარბერგს*("არაა ახლა ეს კაცი მაგის [ჰომოსექსუალობის] მედროშე")*.
http://www.myvideo.ge/?video_id=2045901

ალია, 23 მაისი

*"რუსს ჩემთვის არ მოუთხოვია, წადი შენი ბიძაშვილი მოიყვანე ცოლადო, ან კაცზე დაქორწინდიო. რუსეთსაც კისერი უტეხია და ამერიკასაც, თუ ჩემი ქვეყანა არ იქნება კარგად!"*

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი

*"ნუ ავყვებით ამ ავადმყოფებს, ამ ნაკლულებს,რამდენიც უნდათ იქაქანონ და იქლოშინონ! პირდაპირ ვაცხადებ: ამ მანქურთების, ამ აქოთებული ნაბოზვრების გამო ქართველ ხალხს შესძულდა ამერიკა! მეც, რომელიც პირწავარდნილი ამერიკანისტი ვიყავი, ამერიკელების დანახვა აღარ შემიძლია.''*

გიორგი ფოფხაძე, ჟურნალისტი:

ალია, 24-27 მაისი

*"ეს ევროკავშირიც ვერ გავიგე, რა წარმონაქმნია და რატომ უნდა გვაძლევდეს ჩვენ დირექტივებს?"*

ხათუნა ელბაქიძე, ჟურნალისტი:

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი

*"გეიაქციას ევროკავშირი და ამერიკა აქტიურად უჭერდა მხარს და შესაბამისად, პატრიოტთა აქციის წინააღმდეგი იყვნენ. ეს ჩვენი პოლიტიკოსები, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა, ყველა თვალებს უჟუჟუნებს ევროკავშირისა და ამერიკის ლიდერებს."*
http://www.alia.ge/com/news/view/927?fb_action_ids=447590392001527&fb_action_types=og.likes

ნუგზარ კვაშალი, მომღერალი:

რეზონანსი, 20 მაისი

*"ეს არ არის ევროპა, სადაც ბევრია მსგავსი სიბინძურე და რაც უნდათ ის უქნიათ, ეს მართლმადიდებლური ქვეყანაა. 50 კაცის გამო მთელი ერი არ უნდა აანერვიულო. ამიტომ მე ვამართლებ ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მათ საკადრისი პასუხი გასცეს."*

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი

სტატიაში, რომელიც თანხების გაფლანგვის საფუძველზე რკინიგზის სფეროში რამდენიმე თანამდებობის პირის დაკავებას ეხება, ჟურნალისტი ნინო სამხარაძე დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვასთან და ევროპის მიერ უმრავლესობის ინტერესების უგულვებელყოფასთან. ჟურნალისტი შეურაცხმყოფელ და არაკორექტულ გამოხატვებსაც მიმართავს ("პედერასტი", "უკანალის დაცვა").

*გაგრძელება გვ.10*

## ჰომოსექსუალობის “პროპაგანდის” აკრძალვა

ხდება აზრის კულტივირება, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების და მათ უფლებადა-მცველთა გამოხატვის თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ჰომოსექსუალობის პროპაგანდა. როგორც პოლიტიკოსების (მეტწილად მმართველი პარტიის წარმომადგენლები), ასევე სხვა რესპონდენტთა მხრიდან ჰომოსექსუალობის პროპაგანდის საკანონმდებლო დონეზე აკრძალვის ინიცირება ხდება, თუმცა ჟურნალისტები არ ცდილობენ დააზუსტონ, რა იგულისხმება ამ შემთხვევაში პროპაგანდაში.

ცნობისათვის, კანონი, რომელიც ჰომოსექსუალობის “პროპაგანდას” კრძალავს, რუსეთის ფედერაციამ მიიღო, რის გამოც მას ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგ-ანიზაციები მწვავედ აკრიტიკიბენ.

**კობა დავითაშვილი, ქართული ოცნება:**

კავკასია, სპექტრი, 22 მაისი

*“მე არ მინდა ჩემი შვილები აღიზარდონ იმ იდეით, რომ გარყვ-ნილება ნორმალურია, ჩვეულებრივია, დასაშვებია და მოსაწონიც კი. ამის პროპაგანდა მე არ მინდა... დემოკრატია ეს არის უმრავ-ლესობის მმართველობა. შევიმუშავოთ ჩემო ბატონო კანონი, და ვიმსჯელოთ ამ საკითხზე.”*



**გუბაზ სანიკიძე, ქართული ოცნება:** მაესტრო, პოლიტმეტრი, 24 .05



*“პროპაგანდა, რომელიც მიმდინარეობს საქართველოში, მას-მედიის საშუალ-ებებით ჰომოსექსუალიზმის, ეს პროპაგანდა უნდა შეიზღუდოს აუცილებ-ლად... ძალიან ხშირად ნახავთ (ტელევიზიებში) კაბებში ჩაცმულ მამაკაც-ებს... პროპაგანდაა ეს. ეს ხდება იუმორისტული გადაცემებით, გასართობი პროგრამებით... სიცილ-ხარხარში გვაჩვევენ სიბილწესთან თანაცხოვრებას.”*
http://www.myvideo.ge/?video_id=2048812



## ანტიდასავლური განწყობები

*დასაწყისი გვ. 9*

**ნინო სამხარაძე, ჟურნალისტი:** *“სამაგიეროდ, ისინი რეაგირებენ და კონცენტრირებენ პედარასტების უკანალის დაცვაზე... რატომ გახდა ჰომოსექსუალისტების უკანალის დაცვა ქვეყნის ეროვნული ტრაგედია, ან რატომ დაბრმავდა მსოფლიო და ცივილიზებული ევროპა, რატომ არის უსამართლო, როცა ვერ ხედავს უმრავლსობის ინტერესებს და წინა ხელისუფლების ელიტურ კორუფციას და მეორე მხრივ, იცავს უმცირესობების უფლებებს, იგნორს უკეთებს უმრავლესობის სურვილს, უკაცრავად და ამ ათიოდე პედარასტის უკანალი თუ ასეთი მნიშვნელოვანია, არც ნატო გვინდა და არც ევროკავშირი."*

ალია, 22 მაისი

დაუსაბუთებელ პარალელებს 17 მაისის აქციასთან და 26 მაისის აქციის კანონიერებასთან მიმართებით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ამერიკის ყოფილი ელჩის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული კოკა კვინიკაძე “ალიასთან” საუბარში ახდენს.

**კოკა კვინიკაძე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი:** *“26 მაისს რუსთაველზე ჩვენ მოქალაქეებს რაც დამართეს, მსოფლიომ ნახა, მაგრამ მაშინ ამერიკის ელჩმა და ახალგაზრდა იურისტებმა აუნთეს „მწვანე'', ორივემ გააკეთა განცხადება, რომ ხელისუფლებას სრული უფლება ჰქონდა, დაერბია ეს აქცია და ახლა ეს ხალხი „ლგბტ'' -ს წარმომადგენლების დასაცავად რომ გამო-დის, როგორ უნდა ვთქვათ, რომ ესენი არიან უფლებადამცველები?! ახლა ამერიკის საელჩოც და ევროკავშირის წარმომადგენლებიც პირდაპირ მოუწოდებენ ხელისუფლებას, მღვდლები დასაჯე-თო და თქვე დალოცვილებო, მაშინ სად იყავით, სააკაშვილის ხელისუფლება შუა ქუჩაში ხალხს რომ ხოცავდა?!”*
http://www.alia.ge/com/news/

## ჰომოსექსუალობის "პროპაგანდის" აკრძალვა

### ბიძინა გუჯაბიძე, ქართული ოცნება:

ობიექტივი, ღია სტუდია, 21 მაისი

*"მაგრამ გამოხატვის უფლება არ უნდა იყოს რეკლამა, არ უნდა იყოს პროპაგანდა იმისა, რაც ვთქვათ, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის… [მიუღებელია]".*

http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=12032

### გიორგი თარგამაძე, ქრისტიან-დემოკრატები:

რეზონანსი, 22 მაისი

გაზეთი, სათაურით "გეების წინააღმდეგ თარგამაძეც იბრძოლებს" სააგენტო ივერიონის ინფორმაციას აქვეყნებს.



*"გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრების წესი არის არანორმალური. აქ საუბარია საჯარო სივრცეში პროპაგანდაზე, რადგანაც ამ ადამიანებს სახლში არავინ უვარდება. ამიტომ ჩვენ ამ ყველაფრის წინააღმდეგ ყველა მეთოდით უნდა ვიბრძოლოთ. თუ არ გვინდა, რომ თბილისის ცენტრში გეი პარადები ტარდებოდეს."*

### სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი:

კავკასია, ბარიერი, 21 მაისი



*"მთელი ჩვენი ისტორიული ნარატივი ამის (ჰომოსექსუალობის) წინააღმდეგია… წმინდა ნიკოლოზმა ურიკინეს ხელი დაარტყა ნიკეის საეკლესიო კრების დროს… მაგრამ ის წმინდა ნიკოლოზად დარჩა… ამისთვის არის პარლამენტი, სწორედ, რომ უმრავლესობის შეხედულებები, უმრავლესობის განწყობილებები, ასახულ იქნეს კანონებში, რომ არ მივიღოთ ასეთი ტიპის პროვოკაციები."*

http://www.myvideo.ge/?video_id=2046410

### დავით საგანელიძე, პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი:

მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 20 მაისი

*"მაინცდამაინც თავიანთი ფილმები, კლიპები, თავიანთი ფოტოები… იქნებ სადარბაზოებში და ლიფტებში გამოგვიკრან კიდევ, ჰო? ეს უნდა აიკრძალოს."*

http://tv9.ge/?l=G&m=2&sm=1&sm=1&id=2217





### ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი:

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი

*"ყველას აქვს უფლება თავისი პირადი ცხოვრება ჰქონდეს, ეკლესიაც ამას ამბობს, რომ არავის აქვს უფლება სხვის პირად ცხოვრებაში უხეშად და ძალადობრივი გზით ჩარევის, მაგრამ სხვა საქმეა, შენი პირადი ანომალიური ცხოვრების გასაჯაროება და მისი პროპაგანდა".*

### გიორგი გაბედავა, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი

I არხი, მოამბე, 24 მაისი

*"აიკრძალოს ეს კანონით, საერთოდ, აღვირახსნილობის პროპაგანდა, საქართველოში."*

http://www.myvideo.ge/?video_id=2049001

### ზაზა ხუციშვილი, მომღერალი:

რეზონანსი, 20 მაისი

*"ვფიქრობ, საჩქაროდაა კანონმდებლობაში შესატანი ისეთი ცვლილებები, რომლებიც მათ უფლებებს დაიცავს, მაგრამ პროპაგანდას აუკრძალავს. შარშან მამაკაცები პირდაპირ ქუჩაში კოცნიდნენ ერთმანეთს… ამის საშუალება მათ ნამდვილად არ უნდა მიეცეთ."*

## საჯარო სივრცის შეზღუდვა

[კავკასია, ბარიერი, 24 მაისი]

**გელა ნიკოლეიშვილი, ყოფილი პოლიტპატიმრები:**

*"იქნებ ამ ეტაპზე მივცეთ ამ ადამიანებს რაღაცა ტერიტორია. გეი-კლუბები იყოს, გეი-ბარები იყოს. იმ ტერიტორიაზე ჰქონდეთ თავისი მიტინგის თუ რაღაცის მოწყობის საშუალებაც. გარკვეულ ტერიტორიაზე და არა... იქ შეღწევა უკვე იქნება დანაშაული. როგორც ნუდისტებს აქვთ თავიანთი პლიაჟი"...*
http://www.myvideo.ge/?video_id=2049158

[კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი]

**გია ყრუაშვილი, თავისუფალი საქართველო:**

*"...ამიტომაც კანონმა უნდა დაარეგულიროს, თორემ ამათი შეჩერება შეუძლებელი იქნება, გამოყონ გეიაღლუმებისთვის ადგილი."*

[I არხი, მოამბე, 24 მაისი]

**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

მართალია, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაგმო 17 მაისს მომხდარი ძალადობა და განაცხადა, რომ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს გამოხატვის თავისუფლება, თუმცა სპეკულაციურად დააკავშირა ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის გამართვის მიზანშეწონილობა ავღანეთში დაღუპულ ჯარისკაცთა დაკრძალვის ცერემონიალთან, რასაც რუსთაველზე წინა დღეებში ჰქონდა ადგილი.

> *"...თავისთავად ყველას აქვს უფლება აქციის გამართვის. რამდენად გამართლებული იყო აქციის გამართვა იქ, სადაც მიდიოდა ცერემონია მახლობლად ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების, რამდენადაც ვიცი, ეს ცალკე საკითხი იყო და ეს ცალკე თემაა, მე ამას არ ვეხები."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2046206

პრეზიდენტის ეს პოზიცია ტელეკომპანია "კავკასიის" გადაცემა ბარიერის წამყვანმა (21 მაისი) ალეკო ელისაშვილმა გაიზიარა:

> **ალეკო ელისაშვილი, ჟურნალისტი:** *„სააკაშვილს ერთადერთ რამეში დავეთანხმე: ჯერ თქვა, რომ კარგი იქნებოდა, ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცებისთვის პატივი ეცათო და მეორე დღეს იმავე ადგილზე არ შეკრებილიყვნენო."*

## თეოკრატია თუ სეკულარული სახელმწიფო?

მედიაში 17 მაისთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქების მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სეკულარული სახელმწიფოს არსი ხშირად არათუ ჟურნალისტებს, მმართველი პარტიის წარმომადგენლებსაც არ ესმით.




Civil.ge-ს ფოტო

[მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 20 მაისი]

როდესაც გადაცემის წამყვანი ეკა ბერიძე უმრავლესობის ლიდერს დავით საგანელიძეს მოძალადეთა სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე უსვამს შეკითხვას (*"მე გეკითხებით, მოძალადეები უნდა დაისაჯონ თუ არა ნებისმიერ შემთხვევაში? თქვენ ამბობთ, რომ ეს იმათი ბრალია, ვინც აქცია ჩაატარა."*), ეს უკანასკნელი საეკლესიო მართლმსაჯულებაზე აპელირებს, მოძალადეებს კი მეამბოხეებად მოიხსენიებს.

> **დავით საგანელიძე, ქართული ოცნება:** *"ახლა ეკლესიას თავისი კანონები აქვს და თვითონ სჯის, ახლა მე ვინა ვარ, რომ ეკლესიის კანონები განვსაჯო. ეკლესიის განსასჯელი თუ ვინმეა, ეკლესია თვითონ განსჯის...*
>
> *მოძალადეებზე, მოდით, იხმაროს პროკურატურამ, ამ შემთხვევაში მე მეამბოხეს ვიხმარ."*

[კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი]

> **ხათუნა ელბაქიძე, ჟურნალისტი:** *"პოლიციელი ჯერ ქრისტიანია და მერე პოლიციელი."*
> http://www.alia.ge/com/news/view/927?fb_action_ids=447590392001527&fb_action_types=og.likes

## ანტითურქული განწყობები

ანტითურქულ განცხადებებს პოლიტიკური გაერთიანება “თეთრების” ლიდერის თემურ შაშიაშვილის მხრიდან ჰქონდა ადგილი, რასაც კვირის ქრონიკის ჟურნალისტი გელა ზედელაშვილიც იზიარებდა; ხოლო “ობიექტივის” შემთხვევაში მსმენელის მხრიდან მოვლენის გაზვიადებას და მტრის შესახებ კონსპირაციებს ჰქონდა ადგილი, რაზეც გადაცემის წამყვანს ფაქტების დაზუსტების მხრივ რეაგირება არ მოუხდენია.

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი

> თემურ შაშიაშვილი, თეთრები: *„ჩვენ თურქებს საქართველოშიც მონებად ვექცევით და მათ ქვეყანაშიც მონებად დავუდექით. ერთი გადაამოწმეთ თბილისში ადმაშენებლის პროსპექტი თურქებისაა, ერთი ჩამოსულა და ყოველგვარი ნებართვის გარეშე სამორინეც კი გაუხსნია, ეს პროსპექტი ჩვენიაო.“*

ობიექტივი, ღია სტუდია, 23 მაისი

> მაყურებელი: *“ მე 26 მაისის მონაწილე ვარ. მე სასტიკად დამარბიეს, მცემეს. და თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა მე დავინახე, რომ ჩვენ გვებრძოდნენ არამარტო მანქურთები ჩვენი ქვეყნის, არამედ ჩვენ გვებრძოდნენ თურქები. ისმოდა იქ თურქული საუბარი.“*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=12065

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკას, კერძოდ იეჰოვას მოწმეებზე თავდასხმების გამო ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრებას ჟურნალისტი ხათუნა ელბაქიძე არა კანონის უზენაესობის კუთხით აფასებს, არამედ მართლმადიდებელთა წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. ჟურნალისტი დისკრიმინაციულად, “სხვადასხვა სჯულის სექტებად” მოიხსენიებს ორმოცდაათიანელებს და იეჰოვას მოწმეებს, ასევე დისკრიმინაციულად აფასებს კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრაციის უფლებას აძლევს.

> ხათუნა ელბაქიძე, ჟურნალისტი: *“მათ, გასაგები მიზეზის გამო, ასე ძვირად უღირდათ მამა ბასილის დაპატიმრება, ეკლესიის ნგრევა და მართლმადიდებელი მრევლის დაწიოკება. თუმცა, გასაკვირიც დიდად არაფერია - სწორედ ამის შემდეგ აიწყვიტეს საქართველოში იაღოველებმა. ორმოცდაათიანელებმა და სხვა სჯულის სექტანტებმა და გიგა ბოკერიამ იმასაც კი მიაღწია, რომ ამ ამბიდან ერთ თვეში, იაღოველთა სექტა, როგორც რელიგიური მიმდინარეობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს რეგისტრაციაში იურიდიული სამართლის პირად გაატარებინა.”*
> http://www.alia.ge/com/news/view/927?fb_action_ids=447590392001527&fb_action_types=og.likes

ობიექტივი, 21 მაისი

> ირმა ინაშვილი, ობიექტივის დამფუძნებელი: *“ილიას გზაა [იგულისხმება ნაციონალური მოძრაობის ახალი სლოგანი - ახალი ეროვნული მოძრაობა] ერთ ტომარა ფქვილში იეღოველებს სულს, რომ მიჰყიდი?”*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=12031

*გაგრძელება გვ. 14*

MDF
მედიის განვითარების ფონდი

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო,
0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

### სადავო მშენებლობა

იმედი, ქრონიკა, 24 მაისი

სიუჟეტი სოფელ სოღანლუღში მეჩეთის მშენებლობის ნიადაგზე ადგილობრივებს შორის დაპირისპირებას ეხება. როგორც თბილისის მერიის ოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, მშენებლობის ნებართვა გაცემულია საცხოვრებელ სახლზე, იგივეს ადასტურებს მშენებლობის ტერიტორიაზე მყოფი ერთ-ერთი მოქალაქე, რომლის ვინაობა სიუჟეტში იდენტიფიცირებული არ არის და რომელიც ვაჰაბიტობას უარყოფს. თუმცა, მთლიანობაში სიუჟეტი მაინც ვაჰაბიტური სალოცავის მშნებლობის მიუღებლობის კონტექსტშია წარმოდგენილი და არ არის აღნიშნული, რომ კერძო საკუთრებაში ლოცვის უფლება საჯარო რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება.
http://www.myvideo.ge/?video_id=2048972

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 24 მაისი

იდენტურ თემაზე გაკეთებულ სიუჟეტში ჟურნალისტი მარი ცარელაშვილი იმავე რესპონდენტზე დაყრდნობით, რომელმაც ქრონიკასთან საუბარში მეჩეთის მშენებლობა უარყო, აცხადებს, რომ ის საკულტო ნაგებობის მშენებლობის ფაქტს ადასტურებს, თუმცა ამ შინაარსის სინქრონი სიუჟეტში არ გასულა და ჟურნალისტმა მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, რაც არასწორი ფაქტების ტირაჟირებას უწყობს ხელს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2049004

### სამოქალაქო სექტორი

14 921 საქართველოს მოქალაქემ მოაწერა ხელი მიმართვას საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, რომელშიც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი 17 მაისის აქციის დარბევის დროული და ადეკვატური გამოძიების აუცილებლობაზეა საუბარი. „უმოქმედობა შესაძლოა მეტისმეტად ძვირად დაუჯდეს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას, რადგან მიგვაჩნია, რომ ამჟამად ვდგავართ რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და თეოკრატიის სერიოზული საფრთხის წინაშე,“ - აღნიშნულია განცხადებაში.
http://sazogadoeba.com/

21 მაისს სახალხო დამცველმა განცხადებით მიმართა მთავარ პროკურორს და არა მხოლოდ 17 მაისს განვითარებული მოვლენების სათანადო გამოძიება, არამედ 17 მაისის შემდეგ აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიმართ განხორციელებული ინდივიდუალური ძალადობრივი ფაქტების შესწავლა მოითხოვა.
http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1710

არასამთავრობო ორგანიზაციებმა - საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ადამიანის უფლებების, სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) – 17 მაისის აქციის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე ერთობლივი განცხადება გაავრცელეს და სამართალდამცავ ორგანოებს ლგბტ პირების მიმართ ძალადობის რისკებზე ეფექტური რეაგირებისკენ, ასევე 24 მაისს დაგეგმილი აქციის „არა თეკრატიის“ მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფისკენ მოუწოდეს. განცხადებაში ასევე საუბარია თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსთა მიერ გაკეთებულ ჰომოფობიურ განცხადებებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებლობაზე, ასევე მედიის, როგორც სიძულვილის ენის წყაროსა და გამტარის ნეგატიურ როლზე.
http://gdi.ge/?p=284

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 21 მაისს წარმოადგინა 7 ტელევიზიაში 17 მაისის მოვლენების საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები.
http://qartia.org.ge/?p=1026